თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. თერჯოლა

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სსმ, სარეგისტრაციო კოდი: 010320010.35.126.016361, 14/12/2021წ.) და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **სოსო ჩაფიჩაძე**

დანართი №1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

N		
	თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1	საკრებულოს თავმჯდომარე	6560
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4960
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (2)	4320
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე (5)	3520
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე (2)	3200
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (8)	2560

დანართი 2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

N	**პროფესიული საჯარო მოხელე**	**შტატის ოდენობა**	**რანგი**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**

1	საქმის წარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	II	2560
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	III	2080
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	2080
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	1	III	2080
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში	1	III	1920
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	III	1920
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო და საარქივო საკითხებში	1	III	1920
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1920
9	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	IV	1600

№	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	დასაქმებულთა ოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- აპარატის უფროსი	1	3200